



პროექტი

ქცევის მართვის საკითხებში საგანმანათლებლო
სისტემაში ჩართული სპეციალისტების/მასწავლებლების
პრაქტიკული მომზადების (ტრენერთა ტრენინგი)

საბოლოო ანგარიში

დეკემბერი, 2016 წელი

პროექტის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ დაფინანსების ფარგლებში ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვების“ მიერ განხორციელდა პროექტი: „ქცევის მართვის საკითხებში საგანმანათლებლო სისტემაში ჩართული სპეციალისტების/მასწავლებლების პრაქტიკული მომზადება (ტრენერთა ტრენინგი)“, რომლის მიზანს წარმოადგენდა ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა; სკოლის მასწავლებლების/სპეციალისტების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა; ქცევის მართვის საკითხებში მომზადება; მომზადების პროცესი განხორციელდა კონკრეტულ რეალურ შემთხვევებზე დაფუძნებით, რომელიც მიმდინარეობდა ბუნებრივ სასწავლო გარემოში; ეფუძნებოდა კეთებით სწავლებას, რაც გულისხმობს მასწავლებელთა/სპეციალისტთა ტრენინგს აუტისტური სპექტრის და ქცევითი სირთულეების მქონე მოსწავლესთან უშუალო ურთიერთობის დროს; მათ სუპერვიზიას ამ პროცესში; მიმართულების მიცემას კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო ინტერვენციისთვის და პრაქტიკული უნარების განმტკიცებას; კვლევები მოწმობენ რომ სკოლის გარემოში მასწავლებლების სუპერვიზია/წვრთნა ქცევის გამოყენებითი ანალიზის პრინციპების გამოყენებით არის ეფექტური როგორც მასწავლებლების უნარების, ასევე ბავშვების უნარების განსავითარებლად (Parsonson, Baer & Baer, 1974; Bethune & Wood, 2013), რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მოსწავლეების ინკლუზიასა და გარემოში ადაპტაციას.

რა არის ქცევის გამოყენებითი ანალიზი?

ქცევის გამოყენებითი ანალიზი არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული მეცნიერული მიდგომა, რომლის მიზანია ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. მისი ეფექტურობა განვითარების შეფერხებისა და რთული ქცევის მქონე ბავშვებთან დადასტურებულია კვლევებით.

კვლევები მიუთითებენ ქცევის გამოყენებითი ანალიზის ეფექტურობაზე სკოლის გარემოში. იმ სკოლებში სადაც მასწავლებლები იცნობენ ქცევის გამოყენებითი ანალიზის ძირითად პრინციპებს ბავშვების სწავლების პროცესი ეფექტურად მიმდინარეობს.

Trace Lindblad, ABA in Schools – Essential or Optional? © Tracie Lindblad, Sept. 2006

Ron Leaf, It's Time for School! Building Quality ABA Educational Programs for Students with Autism Spectrum Disorders Copyright © 2008 Autism Partnership

Effects of Coaching on Teachers' Use of Function-Based Interventions for Students With Severe Disabilities
Keri S. Bethune¹ and Charles L. Wood²

Teacher Education and Special Education 36(2) 97–114 © 2013

Parsonson, B. S., Baer, A. M., & Baer, D. M. (1974). The application of generalized correct Social contingencies: An evaluation of a training program. *Journal of Applied Behavior Analysis*, 7, 427-437.

Charlotte Nassey, Teachers' use of classroom based management strategies-a survey of new Zealand teachers-a thesis presented in partial fulfilment of the requirements for the degree of Master of Educational Psychology, Massey University, Albany. New Zealand, 2012.

განხორციელებული აქტივობები

მასწავლებელთა/სპეციალისტთა ქცევის გამოყენებითი ანალიზის გაცნობა და პრაქტიკული მომზადება

ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვების“ სპეციალისტებმა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით, ქ. თბილისში შეარჩია ორი საგანმანათლებლო დაწესებულება - კლასიკური გიმნაზია და # 122-ე საჯარო სკოლა. ორივე საგანმანათლებლო დაწესებულებაში სპეციალისტების მიერ, შეირჩა საგანმანათლებლო სისტემაში ჩართული 10 მასწავლებელი/სპეციალისტი, რომელთა პრაქტიკული მომზადებაც განხორციელდა ქცევის მართვის საკითხებში, იმისათვის რომ, მათ შესძლონ სხვა მასწავლებელთა გაძლიერება და კონსულტირება მოსწავლეთა ქცევის დარღვევების შემთხვევაში;

პროექტში ჩართული მასწავლებლები/სპეციალისტები სამი კვირის მანძილზე ეცნობოდნენ ქცევის გამოყენებითი ანალიზის ძირითადი პრინციპებს, რომლის ცოდნაც ეხმარება პროფესიონალებს ბავშვებთან დაკავშირებული მიზნების მიღწევაში; კერძოდ, ქცევის გამოყენებითი ანალიზის ძირითადი პრინციპები, ქცევაზე დაკვირვება, ქცევის ფუნქციის შეფასება, რთული ქცევის მართვა, ბუნებრივ გარემოზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები, მოსწავლის პოზიტიური ქცევის მხარდამჭერი გეგმის განხორციელება, გარდა თეორიული ნაწილისა, ამ დროის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა მასწავლებლების /სპეციალისტების პრაქტიკული წვრთნა საგაკვეთილო პროცესის დროს.

სფეროში ჩატარებული კვლევებზე დაფუძნებით მასწავლებლები/სპეციალისტები შეფასდნენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- 1) მასწავლებელს შემოაქვს კლასის წესები, რომელიც არის მარტივად ფორმულირებული და ორიენტირებულია ამ წესების დაცვაზე

- 2) მასწავლებელი ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიური უნარების განვითარებაზე არამედ კლასის ქცევის მართვაზე და ამისთვის იყენებს ქცევების დიფერენციალურ განმტკიცებას
- 3) მასწავლებელი პრობლემური ქცევის შესამცირებლად იყენებს ჩაქრობის პროცედურას
- 4) მასწავლებელი იყენებს შექებას სასურველი ქცევების განმტკიცებისთვის
- 5) მასწავლებელი პასუხობს ყველა ბავშვის საჭიროებას კლასში, პასუხობს ყველა ბავშვის შეკითხვას და ეხმარება შესაბამისად
- 6) მასწავლებლის ინსტრუქციები ბავშვების მიმართ არის მოკლე და სპეციფიური
- 7) მასწავლებელი ბავშვს აძლევს 5 წამამდე დროს უპასუხოს რათა უპასუხონ მის ინსტრუქციას
- 8) მასწავლებელი სწორად იყენებს დახმარების სტრატეგიებს, იმისთვის რომ ბავშვმა შეასრულოს ინსტრუქცია
- 9) კლასში სახიფათო პრობლემური ქცევის გამოვლენისას მასწავლებელი სწრაფად რეაგირებს-მაგ, თუ ბავშვი ურტყამს მეორე ბავშვს, ნეიტრალური სახით ამორებს ამ ბავშვებს ერთმანეთს და უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას

შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის შემდგომ მოხდა საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლების/სპეციალისტების ქცევაზე დაკვირვება და მათი უნარების შეფასება. შეფასების კრიტერიუმად განისაზღვრა პროცენტული მაჩვენებელი თუ, რამდენად იყენებენ მასწავლებლები/სპეციალისტები საგაკვეთილო პროცესში წარმოქმნილ შესაძლებლობებს აღნიშნული უნარების გამოსავლენად. ქცევის სპეციალისტების მიერ შეიქმნა სპეციალური დაკვირვების ცხრილი, რის მიხედვითაც მოხდა გამოვლენილი სამიზნე ქცევებისა და მათ გამოსავლენად შექმნილი შესაძლებლობების ჩაწერა. შესაბამისად, ამ ობიექტური მონაცემების საფუძველზე მოხდა მასწავლებლების/სპეციალისტების უნარების პროცენტული შეფასება.

თითოეული მასწავლებლისთვის ზემოთ აღნიშნული უნარების ფლობის საშუალო პროცენტული მაჩვენებელი მოყვანილია ცხრილში

იხ.ცხრილი 1

#	მასწავლებელი/სპეციალისტი	პროცენტული მაჩვენებელი (წვრთნამდე)	პროცენტული მაჩვენებელი(წვრთნის შემდეგ)
1	ქართული ენა და ლიტერატურა (სულ სამი მასწავლებელი)	18%	32 %

2	მათემატიკა	6%	20%
3	ისტორია, ბუნება	0%	18%
4	მუსიკა	0%	15%
5	ხელოვნება	3%	25%
6	სპეც მასწავლებელი	20%	45%
7	ინტეგრირებული კლასის საგნის მასწავლებელი	25%	50%

შენიშვნა: პროექტში მონაწილეობა მიიღო ორმა საჯარო სკოლამ, ცხრილში მოყვანილია მასწავლებლების/სპეციალისტების საერთო რაოდენობა.

თითოეული მასწავლებლის/სპეციალისტის მომზადებას დაჭირდა სხვადასხვა დრო

იხ. ცხრილი #2

#	მასწავლებელი/სპეციალისტი	122-ე სკოლა თეორიული/პრაქტიკული ტრენინგების საათები	კლასიკური გიმნაზია თეორიული/პრაქტიკული ტრენინგების საათები
1	ქართული ენა და ლიტერატურა	12	15 (ორი მასწავლებელი)
2	მათემატიკა	8	
3	ისტორია, ბუნება	6	
4	მუსიკა	4	
5	ხელოვნება		4
6	სპეც მასწავლებელი		8
7	ინტეგრირებული კლასის საგნის მასწავლებელი		12
	სულ	30 საათი	39 საათი

შენიშვნა: საათები დათვლილია ორი სხვადასხვა სკოლის მიხედვით, 122- ე სკოლაში მუშაობდა ერთი ქცევის სპეციალისტი 4 მასწავლებელთან, ხოლო კლასიკურ გიმნაზიაში ორი ქცევის სპეციალისტი მუშაობდა 5 მასწავლებელთან. მუშაობის პროცესში ქცევის მართვის სპეციალისტებმა ჩაატარეს ინტერვიუ მშობლებთან.

შეფასების შედეგები:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვების“ სპეციალისტების მიერ შერჩეული 10 მასწავლებელი/სპეციალისტიდან მომზადდა 9 მასწავლებელი/სპეციალისტი. მასწავლებლების/სპეციალისტების ქცევის გამოყენებითი ანალიზის პრინციპებში მომზადების შემდეგ, შეინიშნება მათი უნარების გაუმჯობესების ტენდენცია, თუმცა იმისთვის რომ, მასწავლებლებმა/სპეციალისტებმა დააკმაყოფილონ ტრენერთა ტრენერის კრიტერიუმები მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მასწავლებლების/სპეციალისტების მომზადება კვლევების მიხედვით მითითებულ 9-ვე უნარში. მომზადების პროცესი უნდა გულისხმობდეს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ წვრთნას.